მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

25 ნოემბერი, 2013 წ.
თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში სასწავლო ცენტრი), წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის - ნინო ციხისთავი-ხუციშვილის მიერ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულის სააგენტო (შემდგომში სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის - პაპუნა უგრეხელიძის მიერ, (შემდგომში - მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატი–ვისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირებისათვის შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მიწოდება, აგრეთვე ავტორიზაციის მიზნების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სასერტიფიკაციო გამოცდის ორგანიზება.

2. მემორადუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შეუწყონ ავტორიზებული პირის მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან დელეგირებული საჯარო - სამართლებრივი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებას ერთობლივი სასწავლო პროგრამების, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდის უზრუნველყოფით (დაგეგმვა, განხორციელება).

3. მემორანდუმის ამოცანები:

3.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების მოსამზადებელი სწავლებისა და სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამები;

3.2. სასწავლო პროგრამების (სასწავლო მასალა, ღირებულება, სერტიფიკატი, მოწვეული ექსპერტები და სხვა) და სასერტიფიკაციო გამოცდის (ღირებულება, ვადები, შეფასება, სერტიფიკატის მოქმედების ვადა, გამოცდის გადაბარების შესაძლებლობა და სხვა) თაობაზე საკითხები განისაზღვრება მემორანდუმის დანართი №1-ით. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მემორანდუმის დანართი №2-ით.

3.3. საქმიანობის ეფექტიანობისთვის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დაასახელებს საკუთარი უწყების უფლებამოსილ თანამშრომელთა წრეს პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად. თანამშრომელ - ტრენერთა ვინაობა განსაზღვრულია მემორანდუმის დანართი №3-ით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, იმოქმედონ ურთიერთპატივისცემის პრინციპებით, დაიცვან ერთამანეთის კანონიერი ინტერესი და ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შეასრულონ მათ მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება.

4.2. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4.3. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.4. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობით, წერილობითი ფორმით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.2. მხარეები მემორანდუმის ფარგლებში მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ პირადად;

6. დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)

6.1 მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გარემოება გრძელდება 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტი ვადით, ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი;

6.3 დაუძლეველი ძალის გარემოებები მიიღება მხედველობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი წარმოიქმნება მემორანდუმის ძალაში შესვლის შემდეგ და ჯეროვნად არის დადასტურებული.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

7.2 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხუთი წლის ვადით;

7.3 წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების ბათილობა არ გამოიწვევს მემორანდუმის ბათილობას მთლიანად, თუ ის ბათილი დებულების გარეშეც იარსებებდა.

7.4 მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

8. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი მის: ქ. თბილისი, საქართველო ვახტანგ გორგასლის ქ. 34 ტელ: (+995 32) 2 405 785 ნინო ციხისთავი-ხუციშვილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მის: ქ. თბილისი, საქართველო წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ. 2 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 251 528 პაპუნა უგრეხელიძე თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი